

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნული სააგენტოს განვითარების პერსპექტივები

გვანცა ნარიშანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის  
მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : იური მღებრიშვილი, ასოცირებული  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ნარიმანიძე, 2015 წელი

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევით თემაა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მისი როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, არსებული პრობლემები, განვითარების შესაძლო პერსპექტივები და ადამიანური რესურსის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ნაშრომი ასახავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის როლს საზოგადოების განვითარებაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო პრინციპებს. კვლევაში ასახულია ეროვნული სააგენტოს ურთიერთობა სახელმწიფო ინსტიტუციებთან და საქართველოს საპატრიარქოსთან, გამოკვეთილია მათთან ურთიერთობაში არსებული ძირითადი პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ სააგენტოს ფუნქციონირებასა და ამცირებენ ეფექტურობას.

იმისათვის, რათა კვლევაში ასახულიყო რეალური სიტუაცია და არ ყოფილიყო მხარეების სუბიექტურ მონაცემებზე დაფუძნებული, კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულ იქნა არსებული ოფიციალური დოკუმენტაციის, ანგარიშებისა და მონაცემების ანალიზი, რომელმაც მთელი რიგი შეუსაბამობა გამოკვეთა სფეროს მარეგულირებელ დოკუმენტებში. ნაშრომში დასახულია სააგენტოს განვითარების პერსპექტივები და არსებული პრობლემების მოგვარებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები .

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კულტურის მენეჯმენტი, კულტურის ორგანიზაცია, კულტურული მემკვიდრეობა, ეროვნული სააგენტო, ძეგლების რეაბილიტაცია, საკანონმდებლო ბაზა.

## Abstract

Master's thesis research topic is Georgia's cultural heritage of the main activities of the agency, its role in the protection of cultural heritage, the problems and prospects of development of the particular importance of a human resources. This work describes the role of cultural heritage in the development of society, the principles of international cultural heritage protection. The study reflects the relationship between state institutions and the National Agency for the Patriarchate of Georgia, outlined the major problems with them, which significantly impede the functioning and reduce efficiency.

The study reflects the real situation and it is not based on subjective data of the parties, therefore basic research methods are used in official existed documents, in reports and in data of analysis, which revealed a lot of inconsistencies in the regulatory documents.

The paper sets out the prospects development of agency and recommendations for the problems.

**Key search words:** Management of culture, culture, cultural heritage, the national agency, the rehabilitation of monuments, legislative base.